ᲙᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥ. ᲙᲐ. Კ. (ᲑᲚ.) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
17 აგვისტო
1939 წ.
№ 188 (5588)
ფასი 10 კაპ.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲝᲗ ᲡᲐᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნები ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს დიდ ყურადღებას, მზრუნველობასა და ხელმძღვანელობას. მომავალი არჩევნების თავისებურება მდგომარეობს ორგანიზაციული მუშაობის უდიდეს გაქანებაში: ადგილობრივ საბჭოებში არჩეულ უნდა იქნან მშრომელთა ასიათასობით დეპუტატები; მთელს სსრ კავშირში საარჩევნო კომისიებში იმუშავებს შვიდ მილიონამდე კაცი. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა კავშირის მთელმა მოსახლეობამ უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღოს თავისი გაქანებით გიგანტურ საარჩევნო კამპანიაში.

„ჩვენი პარტია ძლიერი და უძლეველია იმიტომ, რომ მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის დროს მას აქვს უნარი შეინარჩუნოს და გაამრავლოს თავისი კავშირი მუშათა და გლეხთა მილიონიან მასებთან“. — ასე გვასწავლის ამხანაგი სტალინი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს ნათლად იქნა დემონსტრირებული ბოლშევიკთა ძალა, კომუნისტთა ძალა, რომლებმაც პარტიის გარშემო დაარაზმეს მრავალმილიონიანი აქტივი და მისი დახმარებით უზრუნველჰყვის კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა უნარიანად გამოიყენონ ბოლშევიკური აგიტაციის არსენალში დაგროვილი უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება და მიაღწიონ იმას, რომ თვითეულმა ამომრჩეველმა აქტიურად და რაც შეიძლება სრულად განახორციელოს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება, რასაც მას სტალინური კონსტიტუცია ანიჭებს.

უკანასკნელ დროს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მომავალ კამპანიასთან დაკავშირებით, პარტიული ორგანიზაციები შეუდგნენ საagიტაციო მუშაობის ფართოდ გაშლას, პარტიის საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები, რაიონული კომიტეტები ატარებენ აგიტატორთა საინსტრუქციო თათბირებს, აწყობენ მათთვის სპეციალურ სემინარებს, აძლიერებენ ქალაქად და სოფლად მოსახლეობაში აგიტაციისადმი ხელმძღვანელობას.

პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტმა, ემზადება რა მომავალი არჩევნებისათვის, ამას წინათ სოფლის აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სალექციო თათბირი ჩაატარა.

ლენინგრადში პარტიის ოქტომბრის რაიკომი ამოწმებს და სწავლობს რაიონის აგიტატორთა შემადგენლობას. დიდი წინასწარი მუშაობის შედეგად უკვე შერჩეულია 1412 აგიტატორი. რაიკომთან შერჩეულია ჯგუფი ყველაზე უფრო კვალიფიციური მომხსენებლებისა, რომლებიც გამოვლენ მოხსენებებით ჯგუფურ და რაიონულ მიტინგებზე და აგრეთვე დიდ კრებებზე. ლენინგრადის ოქტის ტოსნოს რაიონის 650 აგიტატორი განუმარტავს მშრომელებს არჩევნების დებულებას.

სლავიანსკის (დონბასი) 600-ზე მეტი აგიტატორი ამომრჩევლებს შორის საუბრებს ატარებს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ.

სტალინგრადის ოლქის ასტრახანის ოკრუგში შესდგა პარტიის რაიკომების სპეციალური პლენუმები, რომლებიც მიეძღვნა არჩევნებისათვის მზადების საკითხებს. აქ, საწარმოებში, თევზსქირისა და სასოფლო-სამეურნეო ბრიგადებში მუშაობს 8.000-ზე მეტი აგიტატორი, რომელთაგან 2.500 კაცმა უკვე გაიარა სპეციალური ათდღიანი კურსები. შერჩეულია აგიტკოლექტივთა 385 ხელმძღვანელი.

ეს მხოლოდ დასაწყისია დიდი და პასუხსაგები მუშაობისა. ჯერ კიდევ საქმაო რაოდენობით მოიპოვებიან ისეთი ორგანიზაციები, რომელთა ხელმძღვანელების მუშაობის გარდაქმნა ნელა მიმდინარეობს და რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში სათანადოდ ვერ აფასებენ მომავალი არჩევნების მთელ მნიშვნელობას.

ამას წინათ ქ. კიროვში შესდგა პარტიის სტალინის რაიკომის პლენუმი, სადაც გამოირკვა, რომ რაიონში აგიტაცია არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. რაიონში ათასზე მეტი აგიტატორი ირიცხება. მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ იღებს დახმარებასა და ხელმძღვანელობას პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა მხრივ.

ვორონეჟში პარტიის კაგანოვიჩის რაიკომმა ჩაატარა იმ აგიტატორთა თათბირი, რომლებიც მუშაობას ეწევიან ყოფილ საარჩევნო უბნებში. თათბირის მონაწილენი, გადმოვცემდნენ რა, მოსახლეობაში თავიანთი მუშაობის დადებითის გამოცდილებას, აკრიტიკებდნენ რაიკომს იმისათვის, რომ იგი სუსტ ხელმძღვანელობას უწევს აგიტატორებს, არა ზრუნავს მათი პოლიტიკური და კულტურული ზრდისათვის. აგიტატორთა კადრებისადმი რაიკომის ხელმძღვანელთა დამოკიდებულებას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ თათბირს პარტიის რაიკომის არცერთი მდივანი არ დასწრებია.

ასეთი ფაქტები მოწმობენ, რომ საჭიროა ყველა პარტიული ორგანიზაციისა და მათი ხელმძღვანელების გადაჭრით შემობრუნება საagიტაციო მუშაობის ამოცანებისაკენ.

საჭიროა დაუყოვნებლივ შეეუდგეთ მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობის მოგვარებას. საჭიროა შევდგასთ და აღვრიცხოთ აგიტატორთა მთელი კადრები, ჩავაბათ ახალი აქტივისტები საagიტაციო მუშაობაში. საჭიროა რაიკომებთან, ხოლო მსხვილ საწარმოებში პარტკომებთან მოეწყოს აგიტკოლექტივები. აგიტკოლექტივებისადმი ხელმძღვანელობა უნდა დაეგვალოს ყველაზე უფრო მცოდნე, ყველაზე გამოცდილ ამხანაგებს, რომლებსაც შეუძლიათ მოამზადონ აგიტატორთა მაღალკვალიფიციური კადრები.

პარტიის რაიონული კომიტეტების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველდღიური ხელმძღვანელობა გაუწიონ მთელ მასობრივ-პოლიტიკურ მზადებას საბჭოების არჩევნების მომავალი კამპანიისათვის. არ უნდა ტარდებოდეს რაიკომის ბიუროს არცერთი სხდომა ისე, რომ განხილული არ იქნას მოსახლეობაში, ფაბრიკაში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, გაწეწესებულებაში აგიტაციის მდგომარეობის საკითხი, ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის საკითხი.

არა მარტო ინსტრუქტაჟი გაუწიონ და ასწავლონ აგიტატორებს, არამედ შეამოწმონ კიდეცაც მათი მუშაობის ხარისხი — ასეთია ის მოთხოვნა, რომელსაც ვუყენებთ ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებს. აგიტაცია ნათელი, ადვილად გასაგები, პოლიტიკურად გამახვილებული უნდა იყოს. უნდა შევამოწმოთ, თუ რამდენად უნარიანად და საინტერესოდ განუმარტავს აგიტატორი ფაქტებითა და ციფრებით თავის აუდიტორიას კომუნიზმის მშენებლობის, ჩვენი მიმდინარე საქმეებისა და ამოცანების საკითხებს. საჭიროა დროდადრო შევამჩნიოთ და გამოვასწოროთ აგიტატორის შეცდომები, ნაკლოვანებანი. კვალიფიციური კონსულტაციები, საცნობარო მასალა, ლიტერატურა, თვალსაჩინო სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებანი — ყოველივე ამით უნდა შევაიარაღოთ **თვითეული** აგიტატორი. არ შეიძლება მომავალი საagიტაციო მუშაობის სირთულის შეუფასებლობა. ახლანდელ საარჩევნო კამპანიაში უაღრესად იზრდება აგიტატორის როლი.

მილიონობით ამომრჩევლები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დეპუტატობის კანდიდატებს შეაფასებენ იმის მიხედვით, თუ რა გააკეთა თვითეულმა მათგანმა ამა თუ იმ სოფლის, ამა თუ იმ რაიონის ან ქალაქის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, თუ რამდენად გულისხმიერად და ყურადღებით ეკიდება დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებული პირი მოსახლეობის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, თუ რამდენად არის იგი მზად პატიოსნად და თავდადებით ემსახუროს თავის ამომრჩევლებს.

აგიტატორის მოქმედების ასპარეზი აქ არაჩვეულებრივ ფართოა. ახსნა-განმარტებითი მუშაობის შეხამება საბჭოთა ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში უშუალო მონაწილეობასთან, ათობითა და ასობით ახალი აქტივისტების მიზიდვა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, აგიტაციის წარმოება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატის სასარგებლოდ — საპატიო და პასუხსაგები როლია.

ბოლშევიკური აგიტაციის ძალა მის ლენინურ-სტალინურ შინაარსში, მის სიმართლეში მდგომარეობს. ჩვენი აგიტაცია მუდამ მძლავრი იარაღი იყო მასების მობილიზაციისა. კონკრეტული, საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად. აგიტაციისათვის ყოველ მომენტში საჭიროა უდიდესი ალღო მასების მოთხოვნილებებისადმი. მასების თვალში მხოლოდ იმ აგიტატორს აქვს ავტორიტეტი, რომელიც საკითხების სრულ ცოდნას ამჭნს მის წინაშე, რომელსაც ახასიათებს პირადი უღრმესი რწმენა, მაღალი იდეურობა, ბოლშევიკური მიზანსწრაფვა, თანამიმდევრობა და ფაქტების დასაბუთება, მათი პოლიტიკური სიმახვილე. მცირეოდენ სიყალბეს, არასიმართლეს მაშინვე შეამჩნევს მასა. მისი კულტურული და პოლიტიკური დონე საკმაოდ გაიზარდა და კვალიფიციურ აგიტაციას მოითხოვს. პარტიის რაიკომების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოამზადონ აგრეთვე აგიტატორთა სპეციალური კადრები — საერთაშორისო, ანტირელიგიური და სხვ. საკითხების მცოდნენი, და ხარისხის ამაღლების მიზნით ერთგვარი სპეციალიზაციაც შემოიღონ საagიტაციო მუშაობაში.

სტალინური კონსტიტუციის, ლენინ-სტალინის პარტიის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ამოცანების ფართო პროპაგანდა, არჩევნების დებულების გულმოდგინედ განმარტება ამომრჩეველთა ფართო მასებისათვის და, დასასრულ, მაღალი ბოლშევიკური სიფხიზლის გამოჩენა წინასაარჩევნო მუშაობაში აგიტატორებისა და მათი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების საქირბოროტო ამოცანებს წარმოადგენენ. უნდა გვახსოვდეს და არ უნდა დავივიწყოთ ამხანაგ სტალინის მითითება, რომ თუ „ჩვენი საagიტაციო მუშაობა ბოლშევიკურად იწარმოებს, მაშინ ხალხი თავის უმაღლეს ორგანოებში მტრულ ადამიანებს არ შეუშვებს. მაშასადამე, კი არ უნდა ვიწუწუნოთ, არამედ უნდა ვიმუშაოთ, უნდა ვიმუშაოთ და არა დაველოდოთ იმას, რომ ყველაფერი მზამზარეულად მოგვეცემა ადმინისტრატიულ განკარგულებათა წესით“.

ეს გაფრთხილება სავსებით შეეხება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მომავალ კამპანიასაც. არ დავაყოვნოთ არცერთი საათი — შევუდგეთ მუშაობას! ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური აგიტაცია! ლენინ-სტალინის დროშით უზრუნველყოთ მშრომელთა მთელი მასის პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის შემდგომი აღმავლობა, კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ახალი გამარჯვებანი ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებში!

„პრავდის“ მოწინავე, 16/VIII.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო (საკდესი). „ამერიკელ-რამენ ინსტიტუტმა“ (სსრ კავშირის მეგობართა საზოგადოება) მსოფლიო გამოფენის საბჭოთა პავილიონში მოაწყო მიღება ამერიკის ხუროთმოძღვრების პატივსაცემად. მიღებას დაესწრო 100-მდე ხუროთმოძღვარი. სტუმრები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ პავილიონს და მის ექსპონატებს და მაღალ შეფასებას აძლევდნენ საბჭოთა ხუროთმოძღვრებას.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მრავალი ამერიკელი ხუროთმოძღვარი აღტაცებას გამოსთქვამდა საბჭოთა პავილიონით. შემდეგ სტუმრები შეიკრიბნენ კინოთეატრში, სადაც ცნობილმა საბჭოთა ხუროთმოძღვარმა ალაბიანმა გააკეთა მოხსენება ხუროთმოძღვრების განვითარების შესახებ სსრ კავშირში. მსოფლიო გამოფენის მთავარმა ხუროთმოძღვარმა ვერხისმა აღნიშნა, რომ „საბჭოთა პავილიონი დიდებულია და ერთერთი საუკეთესო შენობაა მსოფლიო გამოფენაზე“.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ბერლინი, 15 აგვისტო (საკდესი). გერმანიისა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრების რიბენტროპისა და ჩიანოს მოლაპარაკების შემდეგ ზალცბურგში, პოლონეთის საწინააღმდეგო კამპანია გერმანიის პრესაში უფრო გაძლიერდა. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკებამ ზალცბურგში ცხადჰყო „ღერძის“ ორივე სახელმწიფოს „სრული ერთიანობა“ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში.

„ფელკიშერ ბეობახტერმა“ გადაბეჭდა იტალიის გაზეთ „ჯორნალე დ'იტალიას“ მიერ გამოთქმული აზრი. ეს გაზეთი აცხადებს, რომ დანციგის საკითხის ბრძოლა მიმართულია არა მარტო პოლონეთის წინააღმდეგ, არამედ „ევროპაში ინგლისის ბატონობის“ წინააღმდეგაც.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ აცხადებს, რომ როდესაც პოლონეთმა არ მოისურვა დანციგის პრობლემის „ბუნებრივად გადაჭრა“, ამით მან იგი „სამხედრო საფუძველზე“ დააყენა.

ამავე დროს გერმანიის გაზეთები სასტიკად ილაშქრებენ ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ იმისათვის, რომ ისინი დანციგის პრობლემის გადაჭრის საქმეში „ერევიან, მაშინ, როდესაც ეს საჭირო არ არის“. ფაშისტური ოფიციოზი „ფელკიშერ ბეობახტერი“ აცხადებს, რომ ამ საკითხში გერმანია „არავითარ კომპრომისზე არ წავა და არავითარი წინააღმდეგობის წინაშე არ შეჩერდება“. „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დანციგი მხოლოდ ერთერთი ეტაპია იმისა, რომ „ღერძის“ სახელმწიფოებმა განახორციელონ რევიზიონისტული მოთხოვნები ევროპაში. „დანციგი, — სწერს გაზეთი, — უკანასკნელი გაფრთხილებაა მთელი მსოფლიოსათვის“.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ბერლინი, 15 აგვისტო (საკდესი). გერმანიისა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრების რიბენტროპისა და ჩიანოს მოლაპარაკების შემდეგ ზალცბურგში, პოლონეთის საწინააღმდეგო კამპანია გერმანიის პრესაში უფრო გაძლიერდა. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკებამ ზალცბურგში ცხადჰყო „ღერძის“ ორივე სახელმწიფოს „სრული ერთიანობა“ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში.

„ფელკიშერ ბეობახტერმა“ გადაბეჭდა იტალიის გაზეთ „ჯორნალე დ'იტალიას“ მიერ გამოთქმული აზრი. ეს გაზეთი აცხადებს, რომ დანციგის საკითხის ბრძოლა მიმართულია არა მარტო პოლონეთის წინააღმდეგ, არამედ „ევროპაში ინგლისის ბატონობის“ წინააღმდეგაც.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ აცხადებს, რომ როდესაც პოლონეთმა არ მოისურვა დანციგის პრობლემის „ბუნებრივად გადაჭრა“, ამით მან იგი „სამხედრო საფუძველზე“ დააყენა.

ამავე დროს გერმანიის გაზეთები სასტიკად ილაშქრებენ ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ იმისათვის, რომ ისინი დანციგის პრობლემის გადაჭრის საქმეში „ერევიან, მაშინ, როდესაც ეს საჭირო არ არის“. ფაშისტური ოფიციოზი „ფელკიშერ ბეობახტერი“ აცხადებს, რომ ამ საკითხში გერმანია „არავითარ კომპრომისზე არ წავა და არავითარი წინააღმდეგობის წინაშე არ შეჩერდება“. „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დანციგი მხოლოდ ერთერთი ეტაპია იმისა, რომ „ღერძის“ სახელმწიფოებმა განახორციელონ რევიზიონისტული მოთხოვნები ევროპაში. „დანციგი, — სწერს გაზეთი, — უკანასკნელი გაფრთხილებაა მთელი მსოფლიოსათვის“.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ლონდონი, 15 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 12 აგვისტოს ცინჯოუში (ცინდაო-ძინანის რკინიგზაზე) იაპონელმა „დემონსტრანტებმა“ იერიში მიიტანეს ინგლის-ამერიკის თამბაქოს კომპანიის ფაბრიკაზე. თავდასხმის დროს ჩაამტვრიეს ფაბრიკის შენობის მინები. კანტორაში დაამტვრიეს ავეჯი.

შანხაი, 15 აგვისტო (საკდესი). როგორც „ჩაინა პრესი“ იუწყება, 13 აგვისტოს იაპონელებმა ხონკიუში (შანხაის რაიონი) ანტიინგლისური დემონსტრაცია მოაწყეს. წარმოითქვა ანტიინგლისური მკვახე სიტყვები.

იმავე დღეს ხუნჯაოს რაიონში გაავრცელეს ანტიინგლისური ფურცლები, რომლებიც ჩინეთში ინგლისელთა წინააღმდეგ „პირდაპირი მოქმედებისაკენ“ მოუწოდებდნენ. კერძოდ, ფურცლები მოუწოდებდნენ, ხელში ჩაიგდეთ ინგლისის სასულიერო მისიების მთელი ქონება ჩინეთში და ბოიკოტი გამოუცხადეთ ინგლისურ საგაჭრო ფირმებსა და ბანკებსო. ინგლისის ფირმებში მომუშავე ჩინელებს მუქარით აძლევდნენ წინადადებას ერთი კვირის განმავლობაში დაენებებინათ თავი სამუშაოსათვის.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ვარშავა, 15 აგვისტო (საკდესი). პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განკარგულება, სადაც აღნიშნულია, რომ გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ წერილობითი წინადადება მისცა გერმანელ ხელისუფალთ, პოლონეთის დაწესებულებებში ოფიციალური კორესპონდენციის გაგზავნის დროს მისამართებზე პოლონეთის ქალაქების გერმანული სახელწოდება აღნიშნეთო. ამასთან დაკავშირებით პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ წერილობითვე წინადადება მისცა პოლონეთის ხელისუფალთ, ამიერიდან უკანვე დააბრუნეთ გერმანიაში მთელი არასწორად გამოგზავნილი კორესპონდენციაო.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲦᲣᲙᲕᲐ

ლონდონი, 16 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ კოპენჰაგენის მახლობლად ჰაერში ცეცხლი გაუჩნდა და ზღვაში ჩავარდა ინგლისის სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც მომსახურებას უწევდა ლონდონ-ჰამბურგ-კოპენჰაგენ-სტოკჰოლმის საჰაერო ხაზს.

დაიღუპა ოთხი მგზავრი და რადისტი. დაშავებული მფრინავი მებადურებმა ამოიყვანეს. როგორც ფიქრობენ, თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა მეხის დაცემისაგან.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐᲖᲔ

ლონდონი, 15 აგვისტო (საკდესი). „დეილი ჰერალდი“ სწერს, რომ გერმანია დიდ ზეგავლენას ახდენს უნგრეთსა და იუგოსლავიაზე.

ბერლინმა, როგორც გაზეთი აღნიშნავს, უნგრეთის რეგენტ ჰორტის მოსთხოვა გადააყენოს ტელეკის მთავრობა და შეჰქმნას სხვა, უფრო პროგერმანული მთავრობა.

„ტაიმსი“ სწერს, უნგრეთზე გერმანიის ზეგავლენამ „ნერვიზული მდგომარეობა“ გამოიწვია ბუდაპეშტის პოლიტიკურ წრეებში.

ამავე დროს გადმოგვცემენ, რომ გერმანია იუგოსლავიისაგან მოითხოვს, თავისუფლად გამომაყენებინოს შენი რკინიგზები გერმანიიდან იტალიაში გადასასვლელადო. იუგოსლავია ჯერჯერობით თავს იკავებს დადებითი პასუხისაგან. იტალიაში იუგოსლავიის პრემიერის ცვეტკოვიჩის მოულოდნელი გამგზავრება გამოწვეულია იუგოსლავიის სურვილით დახმარება ჰპოვოს იტალიის მხრივ.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ-ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ლონდონი, 15 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 12 აგვისტოს ცინჯოუში (ცინდაო-ძინანის რკინიგზაზე) იაპონელმა „დემონსტრანტებმა“ იერიში მიიტანეს ინგლის-ამერიკის თამბაქოს კომპანიის ფაბრიკაზე. თავდასხმის დროს ჩაამტვრიეს ფაბრიკის შენობის მინები. კანტორაში დაამტვრიეს ავეჯი.

შანხაი, 15 აგვისტო (საკდესი). როგორც „ჩაინა პრესი“ იუწყება, 13 აგვისტოს იაპონელებმა ხონკიუში (შანხაის რაიონი) ანტიინგლისური დემონსტრაცია მოაწყეს. წარმოითქვა ანტიინგლისური მკვახე სიტყვები.

იმავე დღეს ხუნჯაოს რაიონში გაავრცელეს ანტიინგლისური ფურცლები, რომლებიც ჩინეთში ინგლისელთა წინააღმდეგ „პირდაპირი მოქმედებისაკენ“ მოუწოდებდნენ. კერძოდ, ფურცლები მოუწოდებდნენ, ხელში ჩაიგდეთ ინგლისის სასულიერო მისიების მთელი ქონება ჩინეთში და ბოიკოტი გამოუცხადეთ ინგლისურ საგაჭრო ფირმებსა და ბანკებსო. ინგლისის ფირმებში მომუშავე ჩინელებს მუქარით აძლევდნენ წინადადებას ერთი კვირის განმავლობაში დაენებებინათ თავი სამუშაოსათვის.

ᲑᲣᲠᲙᲙᲐᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲙᲘᲗᲮᲔᲚᲗᲐᲜ

პარიზი, 15 აგვისტო (საკდესი). დანციგიდან იუწყებიან, რომ გუშინ ერთა ლიგის უმაღლესი კომისარი დანციგში ბურკჰარდტი დაბრუნდა ბერხტესჰაგენიდან, სადაც იგი შეხვდა ჰიტლერს.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲔᲜ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲡ

ტოკიო, 15 აგვისტო (საკდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით, იაპონიის სამხედრო და საზღვაო ხელისუფლებამ გადასწყვიტა აუკრძალოს გერმანიიდან და იტალიიდან გამოქცეულ ებრაელებს ჩინეთის იმ ტერიტორიაზე დასახლება და თვითეული ებრაელის ხელიხელ ფაშისტურ ტეროროს გაურბიანო.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲔᲕᲐ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘ

(ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲛᲔᲑᲐ)

საქართველოს შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოში შეჯამებული ცნობების მიხედვით, 15 აგვისტოს საღამოსათვის რესპუბლიკაში ახალ სესხზე ხელმოწერის თანხამ უკვე მიაღწია 118.402.000 მანეთს.

ამავე დროისთვის რესპუბლიკის ქალაქებში სესხზე ხელმოწერის თანხა უდრიდა 98.973.000 მანეთს, ხოლო სოფლებში — 19.429.000 მანეთს.

თბილისში 15 აგვისტოს საღამოსათვის სესხზე ხელმოწერის თანხა უდრიდა 43.022.000 მანეთს.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲓᲐᲜᲪᲘᲒᲨᲘ ᲛᲝᲮᲙᲚᲔᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔ

პარიზი, 16 აგვისტო (საკდესი). გუშინ, დილადრიან, დანციგში, სოფელ კოლინგის მახლობლად, რომელიც ტჩევიდან დანციგისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს, მოჰკლეს პოლონელი მესაზღვრე.

დანციგის ხელისუფლება ავრცელებს ვერსიას, თითქოს მესაზღვრე დანციგის ტერიტორიაზე გადავიდა და იარაღით დაემუქრა დანციგელ მესაზღვრეს, როცა ამ უკანასკნელმა ის შეიპყრა.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲤᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲜᲐᲦᲛᲡ ᲓᲐᲔᲯᲐᲮᲐ

ლონდონი, 16 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „დეილი ჰერალდი“ იუწყება, რომ ძიანმინის მახლობლად, მდინარე სიძიანის შესართავთან, ნაღმს დაეჯახა იაპონიის გემი, რომელსაც ჯარი გადაყავდა კანტონის რაიონში. გემი მანამდე ჩაიძირა, ვიდრე ყველა მაშველ ნავს წყალში ჩაუშვებდნენ. ნაპირზე ჩასაფრებულმა პარტიზანებმა გემს ძლიერი სროლა აუტეხეს. ფიქრობენ, რომ დაიღუპა 300-ზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი.

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲠᲔᲜᲣᲛᲘ

15 აგვისტოს, საღამოს პიონერთა კლუბის შენობაში შესდგა ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს მეცამეტე პლენუმი, რომლის დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: 1938 წლის ბიუჯეტის შესრულება და 1939 წლის ბიუჯეტის დამტკიცება. პლენუმი გახსნა რაისაბჭოს თავმჯდომარემ, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ეთერი მაზანაშვილმა.

1938 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაისაბჭოს საფინანსო განყოფილების გამგის მოვალეობათა შემსრულებელი ამხ. ნ. მჭედლიშვილი. მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში გამოსულმა ორატორებმა მოითხოვეს, რომ წელს რაისაბჭომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რაიონის კეთილმოწყობის საკითხებს, ჩაატაროს სათანადო სამუშაოები ვარაზისხევის კეთილმოსაწყობად, მოაასფალტოს სტუდენტთა ქალაქი, გახსნას რაიონული მუშათა კლუბი, ვაკეზე მოაწყოს და გახსნას ახალი დისპანსერი, დააჩქაროს სახლების რემონტი და ყურადღება მიაქციოს, რომ სახლების შეკეთება მაღალხარისხოვნად ხდებოდეს.

კამათის შემდეგ პლენუმმა დაამტკიცა 1938 წლის რაიონული ბიუჯეტის შესრულება და მიიღო 1939 წლის ბიუჯეტი 10.946.700 მანეთის რაოდენობით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲔᲑᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

განვავითაროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა კოლმეურნეობებში

ზემო-მლეთელი კოლმეურნენი მეცხოველეობისათვის ბრძოლაში

(ლუშეთი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ლუშეთის რაიონის ზემო-მლეთის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა რაიონში ერთერთ მოწინავედ ითვლება.

წინათ ზემო-მლეთაში ერთ ხეირიან სახლს ვერ ნახავდით, თითქმის მთელი სოფელი მიწურებში ცხოვრობდა.

სულ სხვაა ახლა ზემო-მლეთა. საკოლმეურნეო შრომამ ძველ სოფელს სახე შეუცვალა. მრავალმა კოლმეურნემ ახალი, ორსართულიანი სახლი აიშენა. მარტო წელს 17 კოლმეურნე იშენებს მშვენიერ ნათელ ბინებს.

სოფელს აქვს საკუთარი საშუალო სკოლა. მოთავრდება ბანაოს და კლუბ-სამკითხველოს მშენებლობა, მალე საკოლმეურნეო ელსადგურის მშენებლობასაც შეუდგებიან.

დაწინაურდნენ კოლმეურნეები. კოლმეურნე, ყოფილი მოჯამაგირის თ. ნაზღაიძის შვილი — ირაკლი ინჟინერი გახდა, ახალგაზრდა თ. ბუთხუზი მასწავლებელია, ყოფილი მოჯამაგირე ლ. ნაზღაიძე ვეტერინარიას დაეუფლა და კოლმეურნეობას ცხვრის ფარებს უვლის, ბევრი ზემო-მლეთელი ახალგაზრდა სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში.

კოლმეურნეობას ამჟამად 7.000 სული ცხვარი ჰყავს. ეს, რა თქმა უნდა, დიდი დოვლათია.

ზემო-მლეთელი კოლმეურნეები ენერგიულად იბრძვიან საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა ურყევად შესრულებისათვის. სტახანოველმა ბრიგადირმა, 23 წლის შ. ნაზღაიძემ წელს თავის ბრიგადაზე მიმაგრებული 1.800 სული დედაცხვრისაგან მიღებული ნამატი 99 პროცენტით შეინარჩუნა, მცნობარმა სტახანოველმა ვ. ბურდულმა მთელი მიღებული ნამატის 98 პროცენტი გაზარდა, მწველავი ქალები ა. ნაზღაიძე, დ. ნაზღაიძე და თ. ნაზღაიძე ყოველდღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

გასულ წელს კოლმეურნეობამ თვითეულ სულ ცხვარზე გაზაფხულის პარსვის დროს 1.600 გრამი მატყლი მიიღო, წელს კი—1.800 გრამი. საერთოდ რაიონის კოლმეურნეობები ცხვარის საზამთრო საძოვრებიდან დაბრუნების შემდეგ პარსავენ. მგზავრობის დროს ცხვარი მატყლის საგრძნობ რაოდენობას ჰკარგავს. ზემო-მლეთელმა კოლმეურნეებმა ეს უარჰყვეს და ცხვარი საზამთრო საძოვრებზე — ყიზლარში გაპარსეს, ამის შედეგად აქ თვითეულ სულ ცხვარზე გასულ წელთან შედარებით წელს 200 გრამით მეტი მატყლი მიიღეს.

ამ დღეებში აქაურმა კოლმეურნეებმა განიხილეს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 8 ივლისის დადგენილება „კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ზემო-მლეთელმა კოლმეურნეებმა აიღეს ვალდებულება მინიმუმამდე შეამცირონ პირუტყვის სიკვდილიანობა, გააუმჯობესონ საკვების მოპოვების საქმე, გაადიდონ პროდუქტიულობა. ახალი წარმატებით შეხვდნენ კოლმეურნეთა ყრილობას და მიმდინარე წლის წარმატებით 1940 წელს მოიპოვონ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლება.

ზემო-მლეთელი კოლმეურნენი წარმატებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

ა. თოდუაძე

გამოფენის მონაწილე დაბრუნდა კოლმეურნეობაში

კრება სოფელ ხელთუბანში

(გორი, „კომუნისტის“ საკ.კორესპონდენტისაგან)

16 აგვისტოს, სოფელ ხელთუბანში შესდგა კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრთა საერთო კრება. კრების თავმჯდომარემ — პარტორგმა **ბაშინჯაყელმა** მოხსენებისათვის სიტყვა მისცა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეს — ამხ. **ბ. ჯანეზაშვილს.**

ამხანაგო კოლმეურნეებო, — დაიწყო მან, — მოსკოვში მონაწილეობა მივიღე სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნაში.

გამოფენა ბრწყინვალედ ადასტურებს, რომ საბჭოთა მთავრობამ, პარტიამ და დიდმა **სტალინმა** ყველაფერი გააკეთეს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის. გამოფენაზე მე გავეცანი მოსავლის სიუხვისათვის მებრძოლ შესანიშნავ ადამიანებს. ესენი არიან: ეფრემოვი, მალცევი, კიზიურინი, ჩუმანოვი, რაკიტინი და სხვ. გამოფენაზე წარდგენილი ყველა ექსპონატი მოწმობს, რომ ჩვენს კოლმეურნეობებში დავაკვალცხენ სოციალისტური მეურნეობის სტახანოველები, რომლებსაც ბარაქიანად მოჰყავთ მარცვლეული, ხილ-ბოსტნეული, ჰარხალი, ახვითარებენ მეცხოველეობას, სწრაფად აუმჯობესებენ პროდუქტიული მეცხოველეობის ჯიშებს. გამოფენაზე ყველაფერი საინტერესოა. აი, მაგალითად, მე თქვენ გაგაცნობთ ეფრემოველი მოძოაობის შესახებ, რომელმაც მე განსაკუთრებით დამაინტერესა.

1935 წელს ბელოგლაზოვოს რაიონში (ალტაის მხარე) ადგილობრივი პარტორგანიზაციის დახმარებით დაიწყო კოლმეურნე გლეხობის მოძრაობა სტალინური მაღალი მოსავლისათვის. შემდეგ ის ეფრემოველი მოძრაობის სახელით გახდა ცნობილი. ეფრემოვი არის კოლმეურნეობა „ისკრის“ რგოლის ხელმძღვანელი, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1936 წელს ამხ. ეფრემოვის კოლმეურნეობა „ისკრაში“ ყოველ ჰექტარზე საშუალოდ მიეღიათ 60 ცენტნერი მარცვლეული.

ეფრემოვის საქმე წინ წავიდა; მას მრავალად გამოუჩნდნენ მიმბაძველები. უკვე 1937 წელს ეფრემოვის გამოცდილებაზე დამყარებით ჩუმანოვმა მოიყვანა 85,9 ცენტნერი მარცვლეული, რაკიტინმა—80, პლესოსკიხმა — 78, სანკოვმა — 75 ცენტნერი; ეფრემოველ მოძრაობას არა მარტო ალტაის მხარეში, არამედ ნოვოსიბირსკსა და ომსკის ოლქებშიაც არმოუჩნდნენ მიმდევრები.

ჩვენ ვალდებულნი ვართ ჩვენს მინდვრებში გადმოვიტანოთ და დავამკვიდროთ ეფრემოველების გამოცდილება. როგორ ადიდებენ მარცვლეულის მოსავალს ეფრემოველები?

პირველი. ეფრემოველები დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ მცენარისათვის ნიადაგში შეიქმნან საკვებისა და ტენის საჭირო რაოდენობა.

მეორე. ისინი, უდიდესი რიგის მეცნიერის ტიმირიაზევის მოძღვრების შესაბამისად, თვითეულ ფართობზე სწორად ანაწილებენ სინათლეს, რომელიც საჭიროა მცენარის ნორმალური ზრდისათვის.

მესამე. ეფრემოველი რგოლები ანეულისა და მძრალად მოხნულის ერმა კულტივაციით, რომელიც 10-12 სანტიმეტრზე ნაკლები არ არის, აღწევენ ნიადაგის დიდ სინათლეგამტარიანობას.

მეოთხე. ეფრემოველებმა ჯარგად იციან, რომ ბარტყობისა და ამოღერების ხანა მცენარის განვითარების პასუხსაგები პერიოდია, მაშინ ისინი ადიდებენ მცენარისათვის საკვები ნივთიერების მარავს ნიადაგში თბევადი სასუქის დამატებითი შეტანის გზით.

მეხუთე. ერმა ხვნით (20 სანტიმეტრი) ისინი ნიადაგში ჰქმნიან წყლის ხელსაყრელ რეჟიმს.

ჩვენი 11 რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიღწევების პავილიონებში თვალწინ წარმომიდგა თავისუფალი და განაბლებული, კოლტუხული და პროლეტარების სიუხვით ძლიერი საბჭოთა ქვეყანა. გამოფენის ნახვით კიდევ უფრო ღრმად დავრწმუნდი, თუ რა ბედნიერად ცხოვრობენ ჩვენი ქვეყნის ხალხები.

ჯანეზაშვილის მოხსენება ოამოთავრდა. სიტყვებით გამოვიდნენ კოლმეურნეები; მათ აიღეს ახალი ვალდებულებანი.

კოლმეურნე **მ. ჰიაჭაძემ** აღნიშნა. ჩვენ დიდ სიხარულს განვიცდით იმის გამო, რომ ჩვენი კოლმეურნეობიდან გამოფენის საპატიო წიგნში ეტაპაილი არიან ქ. ჯანეზაშვილი, რ. სეიფაშვილი, ბ. ანესაშვილი, ო. ფაოელაშვილი, ი. ბაშიაჯაყელი, ბ. კობლიაშვილი და გ. გაგხიძე. ეს დიდი პატივია. ბრიგადირმა **ანესაშვილმა** შემდეგი განაცხადა: ახლა ჩვენ უხდა გავაძლიეროთ სოციალისტური შეჯიბრება, უდანაკარგოდ დავაბინათოთ მოსავალი. ვიღებ ვალდებულებას ჩემს ბრიგადაში დავნერგო მოწინავეთა გამოცდილება და ყოველ ჰექტარზე საშუალოდ მოვიყვანო სიმინდი 25 ცენტნერი, პური—18 ცენტნერი, შაქრის ჭარხალი —700 ცენტნერი, ხილი—200 ცენტნერი; სოცშეჯიბრებაში ვებმები ფალელაშვილის ბრიგადასთან.

ამხ. ბაშინჯაყელმა თავის სიტყვაში კოლმეურნეთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ არ უნდა დავიწყოთ მოშაობის ის სეროზული ნაკლოვანებები, რაც კოლმეურნეობას ჯერ კიდევ აქვს. ამჟამად კოლმეურნეობა მარცვლეულის მოსავალს იღებს. პირველ ხანებში დაბალ ჰქონდა ადგილი, ლიწვა გაჭიანურდა, და ეს ჩამორჩენა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

კრებაზე კოლმეურნეებმა ერთხმად აიღეს ვალდებულება ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება და ემზადონ 1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში კიდევ უკეთესი მაჩვენებლებით მონაწილეობისათვის.

კოლმეურნეებმა წამოაყენეს მეტად საინტერესო საკითხი. ამჟამად კოლმეურნეობას სახნავ - სათესი ფართობი, ბაღები და ტყეები აქვს 859 ჰექტარის რაოდენობით. მათ გადასწყვიტეს წელს დაუშრონ და 1940 წელს აითვისონ 80 ჰექტარი ჭაობიანი ადგილი.

ხელთუბნელი კოლმეურნეები კრებიდან წავიდნენ მტკიცე ჭადაწყვეტილებით: თავიანთ მინდვრებზე ფართოდ დანერგონ მოწინავე აგროტექნიკა, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი, განავითარონ და დაამკვიდრონ სოფლის მეურნეობის ნოვატორების მდიდარი გამოცდილება.

ს. ყურაშვილი

გორი, 16 აგვისტო.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. **ხურათზე:** საკოლმეურნეო კლუბი განყოფილებაში „ახალი სოფლად“.

საკადრის ფოტოქრონიკა

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ბუნების გარდამქმნელები

„ჩვენ არ შეგვიძლია ბუნების მოწყალებას ველოდოთ. ჩვენი ამოცანაა ჩვენ თითონ გამოვართვათ იგი მას“.

ი. ვ. მიჩურინის ეს სიტყვები გამოკვეთილია მისი ქანდაკების კვარცხლბეკზე „მებაღეობის“ პავილიონის შესავალთან.

მცენარეთა ბუნების დიდი გარდამქმნელის რევოლუციურმა მეთოდებმა ათასობით მიმდევარი ჰპოვა. მის მიერ წარმატებით დაწყებულ საქმეს ამჟამად ფართო გაქანება მიეცა. რევოლუციამდე რუსეთში მხოლოდ 5 საცდელი დაწესებულება იყო, რომელიც მებაღეობას ეწეოდა, ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მებაღეობას ეწევა 7 სამეცნიერო-საცდელო ინსტიტუტი, 30 საცდელი სადგური, 100-ზე მეტი საყრდენი პუნქტი და ასობით საკოლმეურნეო ლაბორატორია.

მიჩურინის მიმდევართა მიერ მოწეული წარმატებანი მეტად დიდია. ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ბაღები გაჩნდა სახალინზე, ნარიმში, კამჩატკაზე, იგარკაში და შორეული ჩრდილოეთის სხვა რაიონებში. მცდელი მიჩურინელები სძლევენ ყინვას, მათ ყინვისგამძლე ხეხილი და კენკროვანი მცენარეები მოჰყავთ იქ, სადაც უწინ ეს მცენარეები არასოდეს არ ხარობდნენ.

ეს მიღწევები განსაკუთრებული სიცხადით სჩანს გამოფენის ბაღებში. აქ თავმოყრილია საბჭოთა კავშირის თითქმის ყოველი კუთხის ხეხილისა და კენკროვანი მცენარეების ნიმუშები. ღია ნიადაგში იზრდება და ნაყოფს ისხამს 500-ზე მეტი სხვადასხვა ჯიშის ხეხილი.

დამთვალიერებელთა ყველაზე უფრო მეტი ყურადღებით სარგებლობს მიჩურინის ბაღი და სსრ კავშირის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთის ზონის ბაღები. აქ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ სჩანს, თუ როგორ უმუშავნია ადამიანის აზროვნებას, როგორ უცვლიდა იგი საბჭოთა მცენარეთა ბუნებას და როგორ იმორჩილებდა მას.

აი საბჭოთა პრიმორიეს **მსხვილნაყოფიანი ვაშლები.** ეს ნაყოფი გამოფენაზე გამოუზავნა სუჩანის ხეხილის და კენკროვანთა სანერგემ. მსხვილნაყოფიანი ვაშლის ხიდან უხუცესმა მებაღემ, შორეული აღმოსავლეთის მიჩურინელმა ი. ა. ეფრემოვმა ქალაქ ბლაგოვეშჩენსკში. ახალი შესანიშნავი ჯიშები მიიღო.

მეორე მიჩურინელმა ა. მ. ლუკაშევმა ხაბაროვსკში მსხლის ახალი ჯიშები მიიღო. ეს ჯიშები მან ფინეთის ყვითელი მსხლის უსურიის გარეულ მსალთან შეჯვარებით მიიღო. ამ ჯიშების საუკეთესო წარმომადგენელი „ტემა“ 160 გრამზე მეტი წონის ნაყოფს იძლევა.

ქლიავისა და ალუბლის შესანიშნავი ჰიბრიდი მიიღო მიჩურინელმა ნ ნ. ტიხონოვმა. უსურიის ქვიშოვანი ალუბლისა და ჩინეთის ქეჩოვან ალუბლის შეჯვარებით მან საკვებოსა, ყინვისგამძლე ალუბალი მიიღო შორეულ აღმოსავლეთში.

ომსკის ოლქის ბაღებში წამყვანი როლი ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ა. დ. კიზიურინს. ხელმძღვანელობდა რა მიჩურინის მეთოდებით, პროფესორმა კიზიურინმა განსაკუთრებული მფენადი სახის განრთხმული ხეხილი მიიღო. ასეთ ხეებს არ ეშინიათ ცომბრის ქვიშა ქარებისა, ადვილად იტანენ ყინვას და ადრე ისხამენ ნაყოფს. მაგალითად, სამწლიანი ვაშლის ხეს 15 კილოგრამამდე წონის ნაყოფი მოაქვს; ხუთ წლის ალუბლის ხე 20 კილოგრამამდე ნაყოფს იძლევა. ასეთ განრთხმული ხეხილის ბაღი ომსკის ოლქში უკვე 100 ჰექტარზე მეტია გაშენებული.

„მებაღეობის“ პავილიონის დამთვალიერებლები აღტაცებული არიან ი. ვ. მიჩურინისა და მისი ნიჭიერი მოწაფეების მიღწევების გამო. (საკდესი).

გაიხსნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თეატრების ფესტივალი

15 აგვისტოს მოსკოვში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის აღსანიშნავად გაიხსნა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თეატრების ფესტივალი. ფესტივალი გახსნა მოსკოვის სახელმწიფო საკოლმეურნეო თეატრმა ნ. პოგოდინის პიესით „ბედ სერგეევიანია“.

თეატრის კოლექტივს გულთბილად შეხვდნენ მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა დელეგაციები, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩამოსულნი, რომლებითაც გაჭედილი იყო ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის დიდი დარბაზი. (საკდესი).

ექსკურსანტები გამოფენაზე

15 აგვისტოს გამოფენის დირექტორი აკადემიკოსი ნ. ვ. ციციო შეხვდა იქსკურსანტებსა და სტუმრებს, რომლებიც ჩამოსული არიან ომსკის, ჩელიაბინსკის, ნოვოსიბირსკის ოლქებიდან, ალტაის, კრასნოიარსკის და სხვ. მხარეებიდან. სულ თავი მოიყარა დაახლოებით 300 კაცმა.

ამხ. ციციონმა შეკრებილთ გაუზიარა თავისი მრავალი წლის გამოცდილება ახალი ჯიშის ხორბლის მოყვანის დარგში, ამ მუშაობის პირველი შედეგები. მან აღმოსავლეთის რაიონების კოლმეურნეებს მოუწოდა დაეჩქარონ მოსავლის აღების სამუშაოები, მიაღწიონ იმას, რომ მოიპოვონ 1940 წელს გამოფენაზე მონაწილეობის საპატიო უფლება.

შემდეგ მეგობრული საუბარი გაიმართა. კოლმეურნეებმა ამხ. ციციონს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, გააცნეს მას თავიანთი წარმატებანი. (საკდესი).

გამოფენის მონაწილეები საქართველოდან

აბაშის რაიონი

ნოღა-ბაშის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“ სიმინდის ხაზით.

ზანათის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობა სიმინდის ხაზით.

სოფ. ცილორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა სიმინდის ხაზით.

პირველი მაისის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „წითელი არმიელი“ რამის ხაზით.

გულეიკარის კოლმეურნეობა „ჩვენი მიღწევა“ რამის ხაზით.

სამიჭაოს ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა რამის ხაზით.

ჭალობნის სტურუას სახელობის კოლმეურნეობა რამის ხაზით.

სოფ. ტყვიარის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა რამის ხაზით.

საგვაზოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა სოიას ხაზით.

საგვაზოს კოლმეურნეობა „ძმობა“ სოიას ხაზით.

სოფ. კაპანის კოლმეურნეობა „იმედი“ სოიას ხაზით.

ზანათის ეორაშილავის სახელობის კოლმეურნეობა სოიას ხაზით.

სოფ. კადარის კოლმეურნეობა „სოციალიზმი“ სოიას ხაზით.

სოფ. აბაშისპირის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა არახისა და სოიას ხაზით.

წყემის კოლმეურნეობა „წითელი ცვარსკვლავი“ არახისის და სოიას ხაზით.

წყემის კოლმეურნეობა „ოქტომბრის სხივი“ არახისის ხაზით.

ახალციხის რაიონი

სოფ. ცხობტევის კოლმეურნეობა „ენიაღ“ სიმინდისა და მებიღეობის ხაზით.

წყალ-თბილის კოლმეურნეობა „წითელი ჩესაზღვრე“ სიმინდის, ქერის, ხორბლის და კარტოფილის კულტურათა ხაზით.

ახალციხის მესაზღვრეთა რაზმის სახელობის კოლმეურნეობა ქერის ხაზით.

სოფ. ჯულღას დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა მარცვლეულისა და კარტოფილის კულტურათა ხაზით.

სოფ. ნიორების მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობა ქერის ხაზით.

ახათ-ბევის მიქიანის სახელობის კოლმეურნეობა ხორბლის ხაზით.

სოფ. წყრუთის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა მარცვლეულ კულტურათა ხაზით.

წინ-უბნის XVIII პარტყრილების სახელობის კოლმეურნეობა ქერის ხაზით

სოფ. მუღარეთის კოლმეურნეობა „მეცამე გადამწყვეტი წელი“ ქერისა და მებიღეობის ხაზით.

სოფ. ჩიჩერეკის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობა ქერისა და ხორბლის კულტურათა ხაზით.

სოფ. ჭალის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა ხორბლისა და მებიღეობის ხაზით.

სოფ. გრომის კოლმეურნეობა ხორბლის ხაზით.

საძელის სოფლსაბჭოს კულალისის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა ქერის ხაზით.

სოფ. ფამაჩის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობა ქერის ხაზით.

ურაველის სოფლსაბჭოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა მარცვლეულ კულტურათა ხაზით.

ახალციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა მებაღეობის ხაზით.

სოფ. აგარის კოლმეურნეობა „ენიკენდი“ მებაღეობის ხაზით.

აწყურის კოლმეურნეობა „სოციალიზმაკენ“ მებიღეობის ხაზით.

სოფ. ვალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა მებაღეობის, კომბოსტოს, სიმინდის, ქერისა და კარტოფილის კულტურათა ხაზით.

სოფ. ორჭოშანის კაშენის სახელობის კოლმეურნეობა კარტოფილის ხაზით.

სოფ. არალის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობა მარცვლეულ კულტურათა ხაზით.

ამბროლაურის რაიონი

ბუგეულის სოფლსაბჭოს სოფ. ჩორჭოს კოლმეურნეობა „გეგმა“ მევენახეობის ხაზით.

